

მაქსიმ იავიჩი

Lille Catholic University, France

Erasmus+ ის აკადემიური პერსონალის მობილობის ფარგლებში, ლილის კათოლიკურ უნივერსიტეტს ვეწვიე, სადაც ჩავატარე ლექციების მოდული შემდეგ თემებზე: რიცხვების წარმოდგენა, შესავალი კიბერუსაფრთხოებაში, ქსელური უსაფრთხოება, ღია გასაღების კრიპტოგრაფია და შესავალი პოსტ-კვანტურ კრიპტოგრაფიაში.

ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი მართლაც ძალიან ძველი, თუმცა ინფრასტრუქტურულად განვითარებული სასწავლო დაწესებულებაა და ასევე გააჩნია კიბერ უსაფრთხოების ლაბორატორიაც. მობილობის ფარგლებში, ლექციების გარდა ასევე დაიგეგმა სამუშაო შეხვედრები ადგილობრივ ლექტორებსა და მკვლევართან, ვისაუბრეთ სამომავლო პროექტებსა და უნივერსიტეტებს შორის არსებულ სწავლების მეთოდებზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ უკვე დავიწყეთ უცხოელ კოლეგებთან ერთ-ერთ პროექტზე მუშაობა. მობილობის მსვლელობისას, უნივერსიტეტმა დამატებით გამომიყო სამუშაო ოთახი და მომცა წვდომა ყველა რესურსთან, რაც ფაკულტეტს გააჩნდა კიბერუსაფრთხოების სფეროში.